

## არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

### „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს

### დებულება

#### თავი I. ზოგადი დებულებანი

##### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს რაგბის კავშირი“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „საქართველოს რაგბის კავშირი“ ან „კავშირი“) წარმოადგენს არასამეწარმეო იურიდიულ პირს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა საქართველოში რაგბის, როგორც ეროვნული თამაშის დამკვიდრება და ფართოდ გავრცელება, რაგბის ფასეულობების პოპულარიზაცია, ღირსეული მოთამაშეების აღზრდა, კლუბების გაძლიერება, რაგბის ვერტიკალში ჩართულ ყველა ადამიანზე და მათ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა და მორაგბეთა ეროვნული ნაკრებების გრძელვადიანი წარმატების მიღწევაზე ზრუნვა.
2. საქართველოს რაგბის კავშირი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, კავშირის წესდებით, წინამდებარე დებულებით, კავშირის მმართველობითი ორგანოების მიერ მიღებული აქტებითა და მსოფლიო რაგბის მიერ დადგენილი საერთაშორისო რეგულაციებით.
3. საქართველოს რაგბის კავშირი საქმიანობას ახორციელებს, წესდებით, წინამდებარე დებულების, შინაგანაწესისა (დანართი №1) და სტრუქტურის (დანართი №2) შესაბამისად.

#### თავი II. კავშირის მართვის ორგანოები

##### მუხლი 2. კავშირის მართვის ორგანოები

1. კავშირის მართვის ორგანოებს წარმოადგენს:
  - ა) საქართველოს რაგბის კავშირის ყრილობა (კავშირის წევრთა საერთო კრება);  
საქართველოს რაგბის კავშირის ყრილობის (კრების) უფლებამოსილებები განსაზღვრულია საქართველოს რაგბის კავშირის წესდებით.
  - ბ) საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობა;  
საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის უფლებამოსილებები და ვალდებულებები განსაზღვრულია საქართველოს რაგბის კავშირის წესდებით.

**გ) საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი;**

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის უფლებამოსილებები და ვალდებულებები განსაზღვრულია საქართველოს რაგბის კავშირის წესდებით.

**დ) საქართველოს რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი;**

საქართველოს რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილებები და ვალდებულებები განსაზღვრულია საქართველოს რაგბის კავშირის წესდებით.

**ე) საქართველოს რაგბის კავშირის დირექტორთა საბჭო:**

დირექტორთა საბჭოს წევრები:

- ადმინისტრაციული დირექტორი
- კომერციული დირექტორი
- ოპერაციების დირექტორი
- რაგბის განვითარების დირექტორი
- HP (მაღალი მიღწევების) რაგბის დირექტორი
- რაგბის კეთილდღეობის დირექტორი

დირექტორთა საბჭოს წევრი დირექტორები უძღვებიან კავშირის საქმიანობის კონკრეტულ ძირითად მიმართულებებს.

კავშირის დირექტორებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კავშირის პრეზიდენტი.

დირექტორები ანგარიშვალდებულნი არიან კავშირის აღმასრულებელი დირექტორის წინაშე.

### **თავი III. კავშირის დირექტორატი**

**მუხლი 3. ადმინისტრაციული დირექტორატი**

**1. ზოგადი ფუნქცია - მოვალეობები:**

- 1.1. საქართველოს რაგბის კავშირში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, საქმისწარმოების საკითხების შესახებ ნორმატიული და მეთოდური დოკუმენტების შემუშავება და დანერგვა;
- 1.2. საქართველოს რაგბის კავშირის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, საქმისწარმოების ერთიანი წესების დამკვიდრება;
- 1.3. საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელი პირების/ორგანოების მიერ გამოცემული დოკუმენტების რეესტრის წარმოება;
- 1.4. შესაბამის სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობა;
- 1.5. საქართველოს რაგბის კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული სამეურნეო საკითხების გადაწყვეტა.
- 1.6. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის / აღმასრულებელი დირექტორის დავალებით სხვადასხვა ღონისძიების / აქტივობის დაგეგმვა და აღსრულება;

## 2. არქივი

- 2.1. საქმისწარმოებაში დასრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვა, დამუშავება და გადაცემა არქივისათვის, არსებული წესის შესაბამისად;
- 2.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება;
- 2.3. საქართველოს რაგბის კავშირის დაორგანიზებული, ასევე საქართველოს ეროვნული და სხვა ნაკრებების/გუნდების მონაწილეობით გამართული შიდა და საერთაშორისო ტურნირების/მატჩების შეთანხმებული პარამეტრებით აღრიცხული მონაცემების შენახვა და შენახვაზე ზედამხედველობა;
- 2.4. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის / აღმასრულებელი დირექტორის დავალებით სხვადასხვა ღონისძიების / აქტივობის დაგეგმვა და აღსრულება;

## 3. იურიდიული საქმიანობა

- 3.1. საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლობა სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოებში;
- 3.2. საქართველოს რაგბის კავშირის მიერ გასაფორმებელი ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების პროექტების მომზადება და აუდიტი;
- 3.3. საქართველოს რაგბის კავშირის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა და მათზე რეაგირება;
- 3.4. საქართველოს რაგბის კავშირის საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და საქართველოს რაგბის კავშირის დებულებასთან;
- 3.5. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის / აღმასრულებელი დირექტორის დავალებით სხვადასხვა ღონისძიების / აქტივობის დაგეგმვა და აღსრულება;

## 4. ადამიანური რესურსები

- 4.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განსაზღვრა, საქართველოს რაგბის კავშირში ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის მიზნით, რეკომენდაციებისა და შესაბამისი პროცედურების შემუშავება;
- 4.2. საქართველოს რაგბის კავშირის შინაგანაწესის შემუშავება და მისი დაცვის უზრუნველყოფა;
- 4.3. სამუშაოს ანალიზის საფუძველზე, თითოეული თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა, თანამდებობების აღწერების შედგენის პროცესის კოორდინირება;
- 4.4. პერსონალის შერჩევა, კონკურსების ორგანიზება, ასევე საქართველოს რაგბის კავშირში თანამშრომელთა დანიშვნის, სამსახურებრივი გადაადგილების, გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებათა გამოყენების, შვებულებისა და მივლინებების შესახებ ბრძანებების პროექტების მომზადება და შრომითი/ადმინისტრაციული ხელშეკრულებების გაფორმება;
- 4.5. საქართველოს რაგბის კავშირში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა, სტაჟირებასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება და სტაჟირების პროცესის ზედამხედველობა;
- 4.6. თანამშრომელთა მონაცემთა ბაზის შექმნა და ადმინისტრირება, ასევე საქართველოს რაგბის კავშირის შესაბამის თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენა, წარმოება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების წარდგენის/აღრიცხვის კონტროლი;

- 4.7. საქართველოს რაგბის კავშირის თანამშრომლების შეფასების თანამედროვე სისტემის დანერგვა და შეფასების პროცესის მონიტორინგი;
- 4.8. საქართველოს რაგბის კავშირის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დაგეგმვა/ორგანიზება და ამ მიზნით შესაბამისი რესურსების მოძიება;
- 4.9. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის / აღმასრულებელი დირექტორის დავალებით სხვადასხვა ღონისძიების / აქტივობის დაგეგმვა და აღსრულება;

## **5. ღონისძიებების ორგანიზება**

- 5.1. ღონისძიებების, პრესკონფერენციების, ბრიფინგების, პრეზენტაციებისა და სხვა საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;
- 5.2. რაგბის კავშირის მიერ განხორციელებული რეფორმების, პროექტების, სიახლეების, მიღწევების, საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, პრესრელიზებისა და სხვა საინფორმაციო მასალების მომზადება;
- 5.3. კამპანიური ხასიათის ცალკეული პროექტების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი;
- 5.4. საქართველოს რაგბის კავშირის თანამშრომლების ოფიციალური და სამუშაო ვიზიტების ორგანიზება, აგრეთვე უცხო ქვეყნის ოფიციალური დელეგაციების ვიზიტისას საპროტოკოლო ღონისძიებების გატარება;
- 5.5. საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების პროტოკოლის სამსახურებთან, საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების საელჩოებთან, უცხო ქვეყნების რაგბის კავშირების, მსოფლიო რაგბის და რაგბი ევროპის პროტოკოლის სამსახურებთან თანამშრომლობა;
- 5.6. რაგბის კავშირის ხელმძღვანელობით სხვადასხვა სახის ფორუმის, სემინარის, კონფერენციისა და სხვა ტიპის ღონისძიებების დაგეგმვა/ ორგანიზება;
- 5.7. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის / აღმასრულებელი დირექტორის დავალებით სხვადასხვა ღონისძიების / აქტივობის დაგეგმვა და აღსრულება;

## **6. ინფრასტრუქტურა**

- 6.1. სარაგბო ინფრასტრუქტურის გრძელვადიანი განვითარების გეგმის შემუშავებაზე ზედამხედველობა;
- 6.2. სარაგბო ინფრასტრუქტურის შესახებ არსებული მონაცემების სისტემატიზაციის კოორდინაცია;
- 6.3. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
- 6.4. კომპეტენციის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით არსებული სარაგბო ინფრასტრუქტურის აღრიცხვისა და მოვლა-პატრონობის კოორდინაცია;
- 6.5. მაღალი მიღწევების სპორტისთვის შესაბამისი სტანდარტების ინფრასტრუქტურის შექმნასა და მოვლა-პატრონობაზე ზედამხედველობა;
- 6.6. ურთიერთობა სახელმწიფო, მუნიციპალურ და საკანონმდებლო უწყებებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან სარაგბო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, დაგეგმარებისა და სხვა მიზნით.
- 6.7. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის / აღმასრულებელი დირექტორის დავალებით სხვადასხვა ღონისძიების / აქტივობის დაგეგმვა და აღსრულება;

## **7. რეგიონალური განვითარება**

- 7.1. ურთიერთობა სახელმწიფო, მუნიციპალურ და საკანონმდებლო უწყებებთან, საქართველოში რაგბის ეფექტური განვითარების მიზნით.

7.2. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის / აღმასრულებელი დირექტორის დავალებით სხვადასხვა ღონისძიების / აქტივობის დაგეგმვა და აღსრულება;

## **8. ინფორმაციის გაცვლის ტექნიკური უზრუნველყოფა**

8.1. საქართველოს რაგბის კავშირის შიდა და გარე საინფორმაციო სისტემების გამართვის უზრუნველყოფა.

8.2. საქართველოს რაგბის კავშირის ბუღალტრული პროგრამის გამართულობის უზრუნველყოფა.

8.3. საქართველოს რაგბის კავშირის ვებ-გვერდის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

8.4. საქართველოს რაგბის კავშირის ვებ-გვერდის ველებში განთავსებული მასალების მომზადებაზე და განახლებაზე სისტემური ზედამხედველობა;

8.5. საქართველოს რაგბის კავშირის ვებ-გვერდზე ინფორმაციის დროულად განთავსებასა და სიზუსტეზე ზედამხედველობა

8.6. ვებ-გვერდთან დაკავშირებით საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის / აღმასრულებელი დირექტორის დავალებით სხვადასხვა ღონისძიების / აქტივობის დაგეგმვა და აღსრულება;

## **9. სადისციპლინო სამსახური**

9.1. საქართველოს რაგბის კავშირში და სრკ-ს მიერ ორგანიზებულ ყველა დონის შეჯიბრებებში და მატჩებში სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული სადისციპლინო ნორმების გატარების უზრუნველყოფა.

9.2. მსოფლიო რაგბის სადისციპლინო რეგულაციების შესაბამისად სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის განახლება, ცვლილებების სრკ-ს გამგეობის სხდომებზე განსახილველად გატანა დასმტკიცებლად და სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში და მატჩებში დანერგვა.

9.3. სრკ-ს სადისციპლინო სამსახურის წევრებისთვის არსებული და/ან ახალი სადისციპლინო სტანდარტების მიხედვით სადისციპლინო დარღვევის შეფასებისა და შემდგომი რეაგირების ტრენინგების რეგულარული უზრუნველყოფა.

9.4. მსოფლიო რაგბის და რაგბი ევროპის სადისციპლინო პერსონალის სემინარებში/ტრენინგებში მონაწილეობა და სადისციპლინო სამსახურის წევრთათვის სემინარებში/ტრენინგებში მიღებული ინფორმაციის გაზიარება.

9.5. სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში საითინგ კომისიების დანიშვნა.

9.6. სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში და მატჩებზე დაფიქსირებულ სადისციპლინო დარღვევებზე სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული რეაგირების ორგანიზება.

9.7. სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილე კლუბებთან შეხვედრების ორგანიზება, მათთვის არსებული და/ან ახალი სადისციპლინო ნორმებისა და პროცედურების გაცნობა.

9.8. სრკ-ს მატჩის ოფიციალურ პირებთან (მსაჯები, მეთვალყურეები) რეგულარული შეხვედრების ორგანიზება, სადისციპლინო საქმის წარმოწებაში არსებული ხარვეზების და მათი აღმოფხვრის გზებზე მსჯელობა.

9.9. სრკ-ს სადისციპლინო სამსახურის მიერ დანიშნული სადისციპლინო კომისიის სხდომის წინა მოსამზადებელი საქმიანობა.

9.10. დისციპლინარული დარღვევის მონაწილე რელევანტური მხარეების წინასწარი გამოკითხვა.

9.11. დისციპლინარული დარღვევის რელევანტური მტკიცებულებების წინასწარი შეფასება და ხარვეზის შემთხვევაში მათი გამოსწორების მოთხოვნა შესაბამისი მხარესთვის.

9.12. სადისციპლინო კომისიის სხდომაზე, კომისიის წევრთათვის საქმესთან დაკავშირებული მასალების გაცნობა.

- 9.13. განხილვის წინა კონფერენციის ორგანიზება, განხილვის სხდომისთვის მოსამზადებელი მითითებების გაცემისა და პროცედურების განმარტების მიზნით.
- 9.14. სათანადო პირებისთვის საქმის გარჩევაზე მოწმის სახით დასწრების მოთხოვნა.
- 9.15. სრკ-ს სადისციპლინო სამსახურის მიერ დანიშნული სადისციპლინო კომისიის სხდომაზე საქმის განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა.
- 9.16. სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში, მატჩებზე სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული, საითინგ კომისიის მოვალეობების შესრულება.
- 9.17. დანიშნულ მატჩებზე დასწრება და/ან დისტანციურად დაკვირვება.
- 9.18. მატჩების შემდეგ შესაბამისი რეპორტების სადისციპლინო სამსახურისთვის წარდგენა.

**10. დასაქმებულების საქმიანობის ანგარიში**

- 10.1. დირექტორატში დასაქმებული ადამიანების შეფასება, როგორც კვარტალში ერთხელ, ასევე წელიწადში ერთხელ.
- 10.2. შეფასების ანგარიშის წარდგენა აღმასრულებელ დირექტორთან.

**მუხლი 4. საოპერაციო დირექტორი**

- 1. საქართველოს რაგბის ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების, შავი ლომის, ასევე საქართველოს რაგბის კავშირის მიერ საქართველოში გასამართი საერთაშორისო ტურნირების, სერიების ან უცხო ქვეყნის გუნდების/კლუბების მონაწილეობით საქართველოში გასამართი ყველა მატჩი/ლონისძიება.
  - 1.1. კოორდინირებული მიდგომის შემუშავება და იმპლემენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს პროცესში ჩართული ჯგუფების შეთანხმებული საოპერაციო გეგმის საფუძველზე მოქმედებას;
  - 1.2. გუნდების ტრანსპორტირებასთან, სათამაშო/სავარჯიშო მოედნებთან, მსაჯების/კომისრების განაწილებასთან, ლიაზონ ოფიცრებთან და თამაშის დღის ოპერაციებთან / ლოჯისტიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა წინასწარი სამოქმედო პროტოკოლის შემუშავება და აღსრულება;
  - 1.3. წლის განმავლობაში შიდა და საერთაშორისო თამაშების აღრიცხვა და ერთიანი გენერალური კალენდრის შედგენა;
  - 1.4. ნაკრებების მენეჯერების საქმიანობის კოორდინაცია;
  - 1.5. საერთაშორისო თამაშების საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვის და მოგვარების უზრუნველყოფა (ვიზები, ტრანსპორტირება, დოკუმენტაცია);
  - 1.6. საქართველოში საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზება, სტუმრებისთვის საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, ვიზიტების, სასტუმროს, გადაადგილების თემებში მხარდაჭერა;
  - 1.7. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის / აღმასრულებელი დირექტორის დავალებით სხვადასხვა ღონისძიების / აქტივობის დაგეგმვა და აღსრულება;
- 2. საქართველოს რაგბის კავშირის მიერ დიდი 10-ის, I ლიგის და რეგიონალური ლიგის, ესპუარტა ლიგის ფარგლებში ჩასატარებელი ყველა მატჩი და ღონისძიება.
  - 2.1. ჩემპიონატების დეტალური გრაფიკების შედგენის სამუშაოების ორგანიზება (რეგისტრირებული გუნდების აღრიცხვა, ინფრასტრუქტურის განაწილება, მსაჯების და კომისრების განაწილება, თამაშების საათების დაგეგმვა);

- 2.2. მონაწილე გუნდების ინფორმირება თამაშზე მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი მონაცემების წარმოსადგენად, წარმოდგენილი ინფორმაციის შემოწმების უზრუნველყოფა და თამაშებზე დაშვებების განსაზღვრა;
- 2.3. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის / აღმასრულებელი დირექტორის დავალებით სხვადასხვა ღონისძიების / აქტივობის დაგეგმვა და აღსრულება;
- 3. საქართველოს რაგბის კავშირის მიერ A ლიგის და B ლიგის ყველა მატჩი და ღონისძიება**
  - 3.1. ჩემპიონატების დეტალური გრაფიკების შედგენის სამუშაოების ორგანიზება (რეგისტრირებული გუნდების აღრიცხვა, ინფრასტრუქტურის განაწილება, მსაჯების და კომისრების განაწილება, თამაშების საათების დაგეგმვა);
  - 3.2. მონაწილე გუნდების ინფორმირება თამაშზე მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი მონაცემების წარმოსადგენად, წარმოდგენილი ინფორმაციის შემოწმების უზრუნველყოფა და თამაშებზე დაშვებების განსაზღვრა;
  - 3.3. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის / აღმასრულებელი დირექტორის დავალებით სხვადასხვა ღონისძიების / აქტივობის დაგეგმვა და აღსრულება;
- 4. საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ბავშვთა, სამოყვარულო, სტუდენტური და ალტერნატიული სარაგბო ტურნირების ფარგლებში ჩასატარებელი ყველა ტურნირი და ღონისძიება;**
  - 4.1. ჩემპიონატების დეტალური გრაფიკების შედგენის სამუშაოების ორგანიზება (რეგისტრირებული გუნდების აღრიცხვა, ინფრასტრუქტურის განაწილება, მსაჯების და კომისრების განაწილება, თამაშების საათების დაგეგმვა);
  - 4.2. მონაწილე გუნდების ინფორმირება თამაშზე მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი მონაცემების წარმოსადგენად, წარმოდგენილი ინფორმაციის შემოწმების უზრუნველყოფა და თამაშებზე დაშვებების განსაზღვრა;
  - 4.3. მონაწილე გუნდების ინფორმირება თამაშზე მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი მონაცემების წარმოსადგენად, წარმოდგენილი ინფორმაციის შემოწმების უზრუნველყოფა და თამაშებზე დაშვებების განსაზღვრა;
  - 4.4. სასკოლო / საუნივერსიტეტო თამაშების შესახებ ინფორმაციის მიღება და შესაბამისი თამაშის ორგანიზებაში მონაწილეების მხარდაჭერა (ინფრასტრუქტურის და მსაჯის გამოყოფა);
  - 4.5. ამხანაგური თამაშების შესახებ ინფორმაციის მიღება და შესაბამისი თამაშის ორგანიზებაში მონაწილეების მხარდაჭერა (ინფრასტრუქტურის და მსაჯის გამოყოფა);
  - 4.6. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის / აღმასრულებელი დირექტორის დავალებით სხვადასხვა ღონისძიების / აქტივობის დაგეგმვა და აღსრულება;
- 5. უსაფრთხოება**
  - 5.1. თამაშების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;
  - 5.2. თამაშებამდე ინფრასტრუქტურის მზადყოფნის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში საკითხის დაყენება ინფრასტრუქტურის პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით;
  - 5.3. ინფრასტრუქტურის სათანადო აღჭურვის, გაფორმების, ვიზუალური ნაწილის მოწესრიგების ორგანიზება;
  - 5.4. თამაშების მიმდინარეობის მონიტორინგი, წარმოქმნილი პრობლემების დროული დაფიქსირება და რეაგირება;
  - 5.5. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის / აღმასრულებელი დირექტორის დავალებით სხვადასხვა ღონისძიების / აქტივობის დაგეგმვა და აღსრულება;

## 6. დასაქმებულების საქმიანობის ანგარიში

- 6.1. დირექტორატში დასაქმებული ადამიანების შეფასება, როგორც კვარტალში ერთხელ, ასევე წელიწადში ერთხელ.
- 6.2. შეფასების ანგარიშის წარდგენა აღმასრულებელ დირექტორთან.

## მუხლი 5. კომერციული დირექტორი

### 1. ფინანსური მდგრადობა

- 1.1. დეტალური წლიური ბიუჯეტების შემუშავება და შესრულება;
- 1.2. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან, პრეზიდენტთან, აღმასრულებელ დირექტორთან, გამგეობასთან ერთობლივად ყოველთვიური კონტროლი და ანგარიშგება, შესაბამისი მხარდაჭერი ღონისძიებების დაგეგმვით;
- 1.3. სტრატეგიული პრიორიტეტების მხარდაჭერის მიზნით, ასევე შედეგების გაუმჯობესების და ზრდის შესაძლებლობების გამოსავლენად, ანალიზი და ბიზნეს-ქეისების შემუშავება;
- 1.4. ორგანიზაციის საბუღალტრო, საგადასახადო და აუდიტის საჭიროებების დაკმაყოფილება;
- 1.5. გამგეობის მიერ დამტკიცებული პოლიტიკის ფარგლებში, ორგანიზაციის ბალანსის და ფულადი რეზერვების ეფექტურად მართვა;
- 1.6. ბუღალტრული, ფინანსური და საგადასახადო სააღრიცხვო სისტემების დანერგვა და ეფექტური მუშაობის ზედამხედველობა.

### 2. ფინანსური ანგარიშგება

- 2.1. საფინანსო / საბუღალტრო მართვის და ანგარიშგების სისტემების შემდეგ ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა:
  - ორგანიზაციის საფინანსო მიზნების განხორციელება;
  - სტრუქტურული ერთეულების საოპერაციო ბიუჯეტების მხარდაჭერა;
  - ორგანიზაციის რისკების მართვა;
  - მიზნობრივი დაფინანსების მართვა;
  - ორგანიზაციის რისკების მართვა;
  - პრეზიდენტთან, აღმასრულებელ დირექტორთან და გამგეობასთან ყოველთვიური და წლიური საფინანსო ანგარიშგება;
  - სახელმწიფო სტრუქტურებთან ანგარიშგება.

### 3. შესაბამისობა და რისკების მართვა

- 3.1. მიზნობრივი დაფინანსების, მ.შ. განაცხადების სისტემის და აუდიტის მოთხოვნების, ეფექტურად მართვა;
- 3.2. საბუღალტრო და საფინანსო ანგარიშგების სტანდარტებთან (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო) და სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებთან (მ.შ. აუდიტორული და საგადასახადო მოთხოვნები) შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- 3.3. კავშირის მიერ განსახორციელებელი აქტივობების ფინანსური ანალიზი;
- 3.4. რეკომენდაციების გაცემა ორგანიზაციის პოლიტიკის შესაბამისი დაზღვევის და ინვესტიციების კუთხით;
- 3.5. პოტენციური და საწყის სტადიაზე მყოფი ფინანსური პრობლემების და რისკების პროაქტიული მონიტორინგი, გამოვლენა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ინფორმირება;



#### 4. მარკეტინგული/საკომუნიკაციო სტრატეგიები და კამპანიები

- 4.1. ორგანიზაციის გრელმვადიანი სტრატეგიიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მარკეტინგული/საკომუნიკაციო გრმელვადიანი სტრატეგიის შემუშავება.
- 4.2. ორგანიზაციის საჭიროებების შესაბამისი საკომუნიკაციო და მარკეტინგული სტრატეგიის ძირითადი ელემენტების, მ.შ. მედიასთან ურთიერთობის, ელექტრონული კომუნიკაციის და სოციალური მედიის, სპონსორებთან კომუნიკაციის, შიდა კომუნიკაციის და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის განხორციელება და მართვა;
- 4.3. შეთანხმებული მარკეტინგული გეგმების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ბიუჯეტების შემუშავება და კონტროლი (მ.შ. ბიუჯეტის ხარჯვის სისტემატური მონიტორინგი და ანგარიშგება);
- 4.4. ორგანიზაციის ცალკეული ქვე-ბრენდების / პროექტების მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა;
- 4.5. აღმასრულებელ დირექტორთან და ზედა დონის მენეჯმენტთან მჭიდრო თანამშრომლობა საკომუნიკაციო საჭიროებების დაკმაყოფილებისა და მიზნების რეალიზაციისთვის;
- 4.6. ბრენდის მესიჯის სიძლიერის და შესაბამისობის უზრუნველყოფა ყველა მარკეტინგული არხით და ინსტრუმენტით (დონისძიებები, კამპანიები, ვებგვერდები და პრომო-მასალა) გაჟღერებული ბრენდის მესიჯის სიძლიერის და შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- 4.7. ორგანიზაციის განყოფილებებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა მარკეტინგული აქტივობების კუთხით;
- 4.8. ყველანაირი კომუნიკაციის წარმოება კომპანიის ბრენდის გაიდლაინებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
- 4.9. ბრენდის გაიდლაინების შესაბამისი ვიზუალური სტილის შემუშავება და მართვა.
- 4.10. საქართველოს რაგბის კავშირის პოლიტიკიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, პოტენციური სპონსორებისთვის საპარტნიორო შეთავაზებების გამზადება, წარდგენა და მოლაპარაკებების წარმართვა.
- 4.11. სპონსორებთან და სხვა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის მართვა, ყველა PR-შესაძლებლობის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენების და ძირითად მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- 4.12. სხვადასხვა კონკრეტული კამპანიების ჭრილში გარე სარეკლამო/კრეატიულ და PR სააგენტოებთან ურთიერთობა.

#### 5. მედია-აქტივობები და ვებგვერდი

- 5.1. ქართული რაგბის მხარდამჭერი ციფრული სტრატეგიის შემუშავება, მ.შ. ოფიციალური ვებგვერდის დახვეწაზე მუდმივი მუშაობა;
- 5.2. ყველა ციფრული აქტივობის აღრიცხვა/ანალიზი და შედეგების დემონსტრირების მიზნით აღნიშნულის საფუძველზე მოსხენებების შემუშავება;
- 5.3. კლიენტის გამოცდილების ყოვლისმომცველი მოდელის შემუშავება, კლიენტთან ურთიერთობის ყველა მექანიზმის (დონისძიებები, ციფრული და ბეჭდური კომუნიკაცია, ინტერაქცია სოციალური მედიით) შესაბამისი ფორმით გამოყენება ჩართულობის ყველა ეტაპზე მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით;
- 5.4. ქართული რაგბის ეფექტური, თანმიმდევრული და სათანადო კომუნიკაციის უზრუნველყოფა ინდივიდუალური არხებით, კლიენტის გამოცდილების შესაბამისი ეტაპების და კლიენტების საჭიროებების გათვალისწინებით;

- 5.5. კომუნიკაციების და ვებგვერდის მუშაობის მონიტორინგი, საჭიროებისამებრ ანგარიშების და რეკომენდაციების გაცემა;
- 5.6. სოციალური მედიის ეფექტურობის ზედამხედველობა და გაუმჯობესებისთვის აუცილებელი რეკომენდაციების გაცემა;

## **6. ტელეტრანსაცია**

- 6.1. ადგილობრივ და საერთაშორისო მედიებთან და ტელეკომპანიებთან ეფექტური ურთიერთობის ჩამოყალიბება მაქსიმალური გაშუქების უზრუნველყოფის მიზნით;
- 6.2. ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე თამაშების ტრანსლაციების უფლებების გაყიდვა.
- 6.3. საერთაშორისო მედია ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების წარმოება, მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირების ადგილობრივ ბაზარზე ტრანსლაციების უფლების მოპოვების მიზნით.
- 6.4. ოფიციალური ვებგვერდის და Rugby TV-ს განვითარების ხელშეწყობა და კონტენტის შეგროვების მხარდაჭერა.

## **7. ბილეთების გაყიდვა და მატჩებთან დაკავშირებული აქტივობები**

- 7.1. მონაცემთა მართვა და ანალიზის კავშირის მერჩენდაიზის და ბილეთების გაყიდვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით;
- 7.2. ონლაინ-გაყიდვების ხელშეწყობის მიზნით, ელექტრონული მარკეტინგული კამპანიების განხორციელება კლიენტთა ბაზის კონკრეტულ სეგმენტების დაფარვით;
- 7.3. ფოკუს და თარგეთ მარკეტინგის ზედამხედველობა (მ.შ. ბილეთების გაყიდვის სტრატეგიები, მაყურებელთა ჩართულობა და მარკეტინგული მხარდაჭერა);
- 7.4. მატჩის დღის წარმოსაჩენი აქტივობების წარმართვა და დამატებითი მხარდაჭერა მატჩებთან დაკავშირებული მარკეტინგული და საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პროცესში;
- 7.5. პასუხისმგებლობა ყველანაირ მედია-ოპერაციებზე და საჭიროებებზე სტადიონებზე გამართული ღონისძიებების ფარგლებში

## **8. საგულშემატკივრო ატრიბუტიკა, „Merchandising“**

- 8.1. მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს რაგბის კავშირის სპორტული ეკიპირების ოფიციალურ პარტნიორთან, საგულშემატკივრო პროდუქციის დიზაინისა და ასორტიმენტის შერჩევის მიზნით;
- 8.2. ადგილობრივ ბაზარზე „წარმოებული“ საგულშემატკივრო ატრიბუტიკის წარმოება/წარმოების პროცესის ზედამხედველობა, პროდუქციის მუდმივი განახლება და გაყიდვების არხების განსაზღვრა.
- 8.3. საგულშემატკივრო ატრიბუტიკის ვიზუალური კონცეფციების შემუშავება.

## **9. დასაქმებულების საქმიანობის ანგარიში**

- 9.1. დირექტორატში დასაქმებული ადამიანების შეფასება, როგორც კვარტალში ერთხელ, ასევე წელიწადში ერთხელ.
- 9.2. შეფასების ანგარიშის წარდგენა აღმასრულებელ დირექტორთან.

## **მუხლი 6. რაგბის განვითარების დირექტორი**

### **1. ძირითადი**

- 1.1. ქართული რაგბის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და განხორციელება;
- 1.2. ინოვაციების და მაღალ შედეგებზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვა რაგბის განვითარების ყველა ეტაპზე;

- 1.3. რაგბში ჩართულობის ზრდისა და რაგბის მასობრივ სპორტად გარდაქმნის უზრუნველყოფა;
- 1.4. მაღალი მიღწევების დირექტორატთან თანამშრომლობა რაგბის განვითარების მოსალოდნელი შედეგების პროფესიული და ნახევრადპროფესიული რაგბის საჭიროებებთან კოორდინაციისთვის, თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის და ნიჭიერ მორაგბეთა წვრთნა-განსწავლის/კარიერული ზრდის პროცესის შედეგიანობის გაზრდის მიზნით;
- 1.5. კლუბებთან, სკოლებთან, უნივერსიტეტებთან, კოლეჯებთან, საქართველოს მთავრობასთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და მჭიდრო თანამშრომლობა;

## **2. სტრატეგია**

- 2.1. რაგბის განვითარების სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება რაგბში ჩართული პირების რაოდენობის ზრდის და თამაშის ხარისხის ამაღლების მიზნით;
- 2.2. საქართველოში რაგბის თამაშის ყველა ასპექტის განვითარების და მართვის სტრატეგიული ლიდერობა;
- 2.3. ბავშვთა/სასკოლო, საუნივერსიტეტო და სამოყვარულო რაგბის განვითარების ერთიანი გეგმის შემუშავება და განხორციელება თვლადი ინდიკატორებით და მკაფიო მოსალოდნელი შედეგებით.

## **3. მმართველობა**

- 3.1. ქართული კლუბების განვითარების უზრუნველყოფა ეფექტიანი მმართველობის, რეგულაციების დაცვის და მუდმივი მხარდაჭერის პირობებში, რაგბში ჩართულობის და თამაშის ხარისხის ზრდის მიზნით;
- 3.2. საქართველოს რაგბის კავშირის მაღალი სარაგბო და ოპერაციული პროფესიონალიზმისა და ლიდერობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელების ძირითადი ინდიკატორების (KPI) შემუშავება;
- 3.3. რაგბში ჩართული პირების, მწვრთნელების, მსაჯებისა და მენეჯერების რაოდენობის ზრდის გეგმის შემუშავება
- 3.4. რაგბში ჩართული პირების, მწვრთნელების, მსაჯების და მენეჯერების სწავლა-განათლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ლიცენზირების პროცესის გეგმის შემუშავება პროცესის მონიტორინგი
- 3.5. ადგილობრივ (შიდა) და ელიტურ (მაღალი მიღწევების) რაგბში, მ.შ. სარაგბო აკადემიებში თანმიმდევრული და ინტეგრირებული კარიერული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა

## **4. თანამშრომლობა**

- 4.1. საქართველოს მთავრობის საგანმანათლებლო და სპორტულ სახელისუფლებო სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ალიანსების ჩამოყალიბება, საგანმანათლებლო პროცესის ყველა დონეზე რაგბის სასწავლო პროგრამის წამყვან სპორტულ დისციპლინად გარდაქმნის მიზნით;
- 4.2. მაღალი მიღწევების რაგბის დირექტორთან თანამშრომლობა საქართველოში რაგბის განვითარების პროგრამების და კარიერული ზრდის მექანიზმების განხორციელების მიზნით;
- 4.3. სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშემწყობ ორგანიზაციებთან სტრატეგიული პარტნიორობების ჩამოყალიბება ქართული რაგბის პოტენციალის გაზრდის მიზნით;

## 5. განვითარება

- 5.1. სარაგბო პროცესის ყველა (არსებული თუ პოტენციური) მონაწილისთვის (საბავშვო რაგბიდან მაღალ მიღწევებამდე) ერთიანი პროფესიული სარაგბო გარემოს ჩამოყალიბება;
- 5.2. საქართველოს მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაში რაგბის როლის ტრანსფორმაციის პროცესის გაგრძელება, ჩართულობის ზრდის, ყველა დონეზე სტანდარტების ამაღლების ხელშეწყობის და სარაგბო კომპონენტის, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის საწინდარის პოპულარიზაციის მეშვეობით;
- 5.3. ყველა დონეზე რაგბში ჩართულობის და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა;
- 5.4. რაგბის სახალისო სახეობებში (შვიდკაცა, უკონტაქტო, ქვიშის, თოვლის რაგბი და ა.შ.) ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა;
- 5.5. საქართველოში რაგბის როგორც სპორტის და რეკრეაციული აქტივობის იმიჯის და რეპუტაციის ამაღლება;

## 6. დასაქმებულების საქმიანობის ანგარიში

- 6.1. დირექტორატში დასაქმებული ადამიანების შეფასება, როგორც კვარტალში ერთხელ, ასევე წელიწადში ერთხელ.
- 6.2. შეფასების ანგარიშის წარდგენა აღმასრულებელ დირექტორთან.

## მუხლი 7. HP (მაღალი მიღწევების) რაგბის დირექტორი

### 1. მაღალი მიღწევების ლიდერშიპი.

- 1.1. მაღალი მიღწევების დირექტორატის საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრასა და აღსრულებაზე პასუხისმგებლობა;
- 1.2. საქართველოს რაგბის კავშირის მთელ ორგანიზაციაში მაღალი მიღწევების პირინციპების ინტეგრირებაზე პასუხისმგებლობა;
- 1.3. საკუთარ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხების გაძღოლა და აღნიშნულთან შემხებლობაში მყოფი სხვა საკითხების შესახებ პრეზიდენტისა და აღმასრულებელი დირექტორის ინფორმირება;
- 1.4. პროფესიონალი მორაგბეების, მწვრთნელების და დამხმარე სტაფის უმაღლეს დონეზე მომზადებისთვის საჭირო მექანიზმების შემუშავებისთვის სტრატეგიული ხედვის შემუშავება
- 1.5. შემუშავებული სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად მაღალი მიღწევების გუნდის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებლობა;
- 1.6. საოპერაციო გეგმებით გათავლისწინებული აქტივობებთან, ბიუჯეტირებასთან და ანგარიშგებასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაცია;
- 1.7. საოპერაციო გეგმების შესრულების ანალიზი და დასახულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- 1.8. მაღალი მიღწევების გუნდის მხრიდან მთელი ორგანიზაციისთვის დროული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად მენეჯმენტის გუნდთან მჭიდრო თანამშრომლობა;

### 2. სტრატეგიული თანამშრომლობა

- 2.1. რაგბის კავშირის მთელ ვერტიკალზე საქმიანი კავშირების ხელშეწყობა და განვითარება;
- 2.2. რაგბის კავშირის თანამშრომლებთან (მათ შორის, მორაგბეებთან, მწვრთნელებთან და დამხმარე სტაფთან), ასევე გარე პარტნიორებთან ეფექტიანი სამსახურებრივი ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება;

2.3. მაღალი დონის ინფორმირებულობის შენარჩუნება მაღალი მიღწევების საუკეთესო პრაქტიკების შესახებ ორმხრივ/მრავალმხრივ შეხვედრებზე, ფორუმებზე/კონგრესებზე დასწრების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის მეშვეობით.

2.4. მსოფლიო რაგბის მაღალი მიღწევების სამსახურთან მყარი კავშირების დამყარება და განვითარება;

### **3. სპორტული შედეგების გაუმჯობესება.**

3.1. მაღალი მიღწევების სფეროში მსოფლიოს საუკეთესო ტენდენციების ანალიზის შედეგად ქართული რაგბის წარმატებისთვის უმნიშვნელოვანესი ელემენტების იდენტიფიცირება;

3.2. ქართველი ათლეტების განვითარების ინტეგრირებული მოდელის შემუშავება და შემდგომი გაუმჯობესება;

3.3. საქართველოს რაგბის კავშირში მაღალი მიღწევების მხრივ განხორციელებული პროექტების საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

3.4. მაღალი მიღწევების გუნდებში მაღალი მიღწევებისა და პროფესიული გარემოს დანერგვის უზრუნველყოფა;

3.5. მაღალი მიღწევების გუნდებისთვის შესაბამისი მომზადების (წვრთნა, ტურნირები) გარემოს შექმნა მომავალში შედეგების გაუმჯობესების მიზნით

3.6. სხვა არა მაღალი მიღწევების გუნდებისთვის შესაბამისი გეგმების შემუშავება და განხორციელება მომავალში მათი მაღალი მიღწევების კატეგორიაში ასაყვანად (7კაცა რაგბი);

### **4. ტალანტების იდენტიფიკაცია და განვითარების ხელშეწყობა.**

4.1. ტალანტების იდენტიფიცირებისა და პროგრესის მონიტორინგის სისტემის შემუშავება და შემდგომი გაუმჯობესება;

4.2. ტალანტების განვითარების სისტემის შემუშავება და შემდგომი გაუმჯობესება;

4.3. საქართველოს რაგბის კავშირის ინტერესების სფეროში შემავალი საზღვარგარეთ მყოფი მოთამაშეების ეფექტიანი მონიტორინგის სისტემის შემუშავება;

4.4. ეროვნული ნაკრების მწვრთნელების მიერ დიდი პოტენციალის მქონე ქართველი მწვრთნელებისთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების კულტურის დანერგვა;

4.5. მაღალი მიღწევების ყველა მწვრთნელის თანამდებობისთვის პროფესიული განვითარების გეგმის შედგენა და განხორციელება;

### **5. ათლეტების განვითარება.**

5.1. ისეთი სისტემის დანერგვა და განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმის მქონე პერსონალის საქმიანობას იდენტიფიცირებული ტალანტების განვითარების ყველა ეტაპზე;

5.2. მაღალი მიღწევების პროგრამების განხორციელების უნარების და გამოცდილების მქონე დამხმარე მწვრთნელების ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა;

5.3. მწვრთნელების ხარისხის შეფასება ათლეტების სპორტული შედეგების ანალიზის საფუძველზე;

### **6. მაღალი მიღწევების პერსონალის განვითარება.**

6.1. ელიტური მწვრთნელების, მსაჯების, სპორტის მეცნიერების სპეციალისტების, ექიმების, მენჯერებისა და სხვა პერსონალის იდენტიფიკაციისა და განვითარების სისტემის შემუშავება და გაუმჯობესება;

6.2. ელიტური მწვრთნელების, მსაჯების, სპორტის მეცნიერების სპეციალისტების, ექიმების, მენჯერებისა და სხვა პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმის შედგენა და განხორციელება;

6.3. ელიტური მწვრთნელების, მსაჯების, სპორტის მეცნიერების სპეციალისტების, ექიმების, მენჯერებისა და სხვა პერსონალის თანაბარ კონკურენტულ გარემოში განვითარების უზრუნველყოფა;

## **7. კვლევა და განვითარება.**

7.1. რაგბის კავშირის მთელ ვერტიკალზე მაღალი მიღწევების პროგრამის დაგეგმვის პროცესში გამოყენებითი სპორტული მეცნიერებების ინტეგრირება;

7.2. მსაჯობის და მწვრთნელების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების შესახებ ინფორმირებულობის მაღალი დონის უზრუნველყოფა;

7.3. მაღალი მიღწევების მიმართულებით შედეგების გაუმჯობესების პოტენციალის მქონე უახლეს კვლევებთან დაკავშირებით ძირითადი მწვრთნელების ინფორმირებულობის მაღალი დონის უზრუნველყოფა;

7.4. უახლესი ტექნოლოგიების შეფასება და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ძირითადი მწვრთნელების, მსაჯების და ჩართული პირებისთვის;

## **8. ბიზნეს დაგეგმვა და ბიუჯეტირება.**

8.1. კავშირის მთელ ვერტიკალზე არსებული გუნდების სამოქმედო გეგმების შესრულებასა და ბიუჯეტირებაზე ზედამხედველობა;

8.2. განხორციელებული ღონისძიებების ყოველთვიური მონიტორინგი პროგნოზირებული და რეალური ბიუჯეტების შესადარებლად, შეუსაბამობებზე ახსნა-განმარტებების მომზადება და სიტუაციის გამოსასწორებლად აქტივობების დაგეგმვა;

## **9. პერსონალის საქმიანობა.**

9.1. დასახული "შესრულების ძირითადი მაჩვენებლების (KPI) მიღწევის მიზნით თანამშრომლების მხარდაჭერა და მათთვის მიმართულებების მიცემა;

9.2. ეფექტიანობისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით სწავლებასა და გვანვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივების გატარება;

9.3. თანამშრომელთა მიერ განხორციელებულ პროექტების დაგეგმვასა და აღსრულებაზე ზედამხედველობა;

## **10. სხვა საქმიანობა.**

10.1. რაგბის კავშირის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად სხვადასხვა დავალებების შესრულება;

## **11. დასაქმებულების საქმიანობის ანგარიში.**

11.1. დირექტორატში დასაქმებული ადამიანების შეფასება, როგორც კვარტალში ერთხელ, ასევე წელიწადში ერთხელ.

11.2. შეფასების ანგარიშის წარდგენა აღმასრულებელ დირექტორთან.

## **მუხლი 8. რაგბის კეთილდღეობის დირექტორი**

### **1. სტრატეგიული**

1.1. ფიზიოთერაპევტების და სპორტული ექიმების მხარდაჭერა და მენტორობა ფიზიოთერაპიული მომსახურების გაუმჯობესების, მოთამაშეებზე ზრუნვის ხარისხის ამაღლების და რესურსების ეფექტური გამოყენების მიზნით;

1.2. კლინიკური აუდიტის (სამედიცინო სამსახურის აუდიტის) პროცესში ჩართულობა, კლუბების კლინიკური მმართველობის სტრატეგიის მხარდაჭერის მიზნით;

- 1.3. თანამშრომლებთან და მესამე პირებთან მუშაობა სამედიცინო მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით;
- 1.4. ჯანდაცვის, უსაფრთხოების და სხვა რეგულაციების დაცვა და დაცვის უზრუნველყოფა;
- 1.5. ხელი შეუწყოს სრკ-ს მინიმალური სამედიცინო სტანდარტების დაცვაში ნორმატივებთან თავსებადობის წლიური შეფასების დაკმაყოფილების მიზნით

## **2. სამედიცინო**

- 2.1. შიდა ჩემპიონატში სამედიცინო მომსახურების ერთიანი პროტოკოლის დანერგვა.
- 2.2. მოთამაშეებზე ზრუნვის ყველა ასპექტის მონიტორინგის (მ.შ. პრეაბილიტაცია, რეაბილიტაცია, მკურნალობა და თამაშში დაბრუნება) უზრუნველყოფა;
- 2.3. დამოუკიდებლად და ფიზიოთერაპევტების გუნდთან ერთობლივად ყველა ტრავმიანი მოთამაშის შეფასება და დიაგნოზის უზრუნველყოფა ფიზიოთერაპიული ჩარევის საჭიროებების განსაზღვრის მიზნით;
- 2.4. სარეაბილიტაციო პოტენციალის მაქსიმუმალური ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, მოთამაშეებზე ზრუნვის პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება;
- 2.5. ტრავმიანი მოთამაშეების მომსახურების პროცესის ეფექტურად და ეფექტიანად მართვა;
- 2.6. პაციენტების დოკუმენტაციის, ანკეტების და აკურატული სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება მიწოდებული მომსახურების ასახვის და პროფესიული სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით;
- 2.7. ყველა კლინიკური ინფორმაციის შეყვანა სრკ-ს ელექტრონულ სამედიცინო სისტემაში;
- 2.8. კომუნიკაცია და რეკომენდაციების გაცემა მოთამაშეთა მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და მულტიდისციპლინარული მიდგომის პოპულარიზაციის მიზნით;
- 2.9. მოთამაშეთა მომსახურების ოპტიმიზაციის მიზნით, კლინიკური ეფექტურობის უზრუნველყოფაზე გამიზნული შესაბამისი კლინიკური გაიდლაინების შემუშავებაში და განხორციელებაში მონაწილეობა;
- 2.10. სეზონისწინა სქრინინგის პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა;
- 2.11. მატჩისწინა და სამატჩო სამედიცინო მომსახურების საჭიროებისამებრ უზრუნველყოფა საშინაო და გასვლით თამაშებზე;

## **3. განათლება/კვალიფიკაციის ამაღლება.**

- 3.1. კლინიკური ცოდნის და უნარების განვითარება მტკიცებულებითი მედიცინის უზრუნველსაყოფად;
- 3.2. ფიზიოთერაპევტების წვრთნის და კონსულტირების ხელშეწყობა;
- 3.3. აქტიური ჩართულობა ფიზიოთერაპიული მომსახურების პროცესში, კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში;

## **4. კომუნიკაცია და ურთიერთობები.**

- 4.1. სისტემატური კომუნიკაცია უფროს ფიზიოთერაპევტთან/სამედიცინო სამსახურის უფროსთან და კლუბების ექიმებთან მოთამაშეთა ტრავმების და ფიზიკური კონდიციის თაობაზე ინფორმაციის გაზიარების მიზნით;
- 4.2. სამწვრთნელო და მაღალი მიღწევების დეპარტამენტებთან კომუნიკაცია და ეფექტური ურთიერთობის ჩამოყალიბება;
- 4.3. სხვა შესაძლო და საჭირო გარე სპეციალისტებთან კომუნიკაცია, შესაბამისი გადამისამართებისა და კონსულტაციის მიზნით.
- 4.4. სადაზღვევო კრიტერიუმების ჩამოყალიბება.

## 5. რაგბის კეთილდღეობის ფონდი.

- 5.1. ვეტერანების დაზღვევის, რაგბის თამაშით გამოწვეული ტრავმის საფუძველზე შეწყვეტილი კარიერის შემთხვევების მკურნალობის ფინანსური დახმარების, გადაუდებელი სამედიცინო ჩარევებისა და სოციალურად დაუცველი მორაგბეების ჯანმრთელობის ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა. აღნიშნული ფინანსური დახმარების აღმოჩენისთვის, შესაბამის კლინიკებთან კომუნიკაცია და სპეციალური ფასდაკლებების უზრუნველყოფა.
- 5.2. სოციალურად დაუცველი მორაგბეების დახმარება.
- 5.3. წარმატებული მორაგბეების პროფესიული და კარიერული წინსვლის უზრუნველყოფა, როგორც სათამაშო პერიოდში, ასევე სათამაშო პერიოდის შემდეგ.

## 6. სოციალური პროექტები.

- 6.1. საქართველოს რაგბის კავშირის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა;
  - 6.2. საერთაშორისო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და მუშაობის უზრუნველყოფა. (UN Women – UNICEF) და სხვა.
  - 6.3. სოციალური პროექტების მართვა.
  - 6.4. სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან მუშაობა მორაგბეების ჩართულობით.
  - 6.5. სხვადასხვა პრობლემატურ თემებზე მუშაობა (ოჯახური ძალადობა, პანდემია, ბულინგი და სხვა).
  - 6.6. პროექტების შექმნა, სპონსორებისა და პარტნიორების მოზიდვა.
- ## 7. დასაქმებულების საქმიანობის ანგარიში.
- 7.1. დირექტორატში დასაქმებული ადამიანების შეფასება, როგორც კვარტალში ერთხელ, ასევე წელიწადში ერთხელ.
  - 7.2. შეფასების ანგარიშის წარდგენა აღმასრულებელ დირექტორთან.

# თავი IV. კავშირის კომიტეტები

## მუხლი 9. კავშირის კომიტეტები

1. კავშირის პრეზიდენტი უფლებამოსილია ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტის მიზნით შექმნას მუდმივმოქმედი ან დროებითი კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს ბრძანებით. ბრძანებაში გაიწერება კომიტეტის შექმნის მიზანი, შემადგენლობა და მუშაობის წესი.
2. კავშირის კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად შექმნილი მუდმივმოქმედი კომიტეტებია:
  - 2.1. მაღალი მიღწევების კომიტეტი;
  - 2.2. რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის კომიტეტი;
  - 2.3. საორგანიზაციო კომიტეტი;
  - 2.4. სამსაჯო, საკომისიო და სადისციპლინო კომიტეტი;
3. კავშირის პრეზიდენტი უფლებამოსილია შექმნას, მართოს და შეაფასოს კავშირის კომიტეტები და მათი საქმიანობა.